განმარტებითი ბარათი

"დიპლომატიური სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ"

საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

"დიპლომატიური სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტის მომზადება განპირობებულია დიპლომატიურ სამსახურის პრაქტიკაში არსებული ნოვაციების საკანონმდებლო მოწესრიგების აუცილებლობით, კანონში არსებული ხარვეზების აღმოფხვრის საჭიროებით.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მომზადების მიზანია, საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით საკანონმდებლო ნოვაციების დანერგვა და კანონში არსებული ხარვეზების აღმოფხვრა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

- კანონპროექტის მნიშვნელოვან სიახლეს განეკუთვნება საქმეთა რწმუნებულისა და საქმეთა რწმუნებულის აპარატის ინსტიტუტის შემოღება. აღნიშნული ინსტიტუტის არსებობა გათვალისწინებულია „დიპლომატიური ურთიერთობის შესახებ" ვენის კონვენციის მე-5 მუხლით, რომლის შესაბამისად თუ მააკრედიტებელ სახელმწიფო წარმომადგენლობის მეთაურს ერთ ან რამდენიმე სხვა სახელმწიფოში ნიშნავს, მას შეუძლია ყოველ სახელმწიფოში, სადაც წარმომადგენლობის მეთაურს მუდმივი ადგილსამყოფელი არ აქვს, დააფუძნოს დიპლომატიური წარმომადგენლობანი, რომლებსაც სათავეში ჩაუდგებიან დროებით საქმეთა რწმუნებულები. იმის გათვალისწინებით, რომ დღეს არსებული დიპლომატიური წარმომადგენლობები უმეტეს შემთხვევაში აკრედიტებულია ორ ან მეტ ქვეყანაში, მიზანშეწონილია აღნიშნული ინსტიტუტის საკანონმდებლო დონეზე რეგულირება. „დიპლომატიური ურთიერთობის შესახებ" ვენის კონვენციის მე-5 მუხლით გათვალისწინებულ თანამდებობის პირს ეწოდა საქმეთა რწმუნებული, ხოლო – წარმომადგენლობას საქმეთა რწმუნებულის აპარატი, რაც წარმოადგენს საზღვარგარეთის ქვეყნებში კონვენციის შესაბამისად დამკვიდრებული ინსტიტუტის – charge d'affair პირდაპირ თარგმანს. კანონპროექტის თანახმად, გადაწყვეტილებებს საქმეთა

რწმუნებულის აპარატის დაფუძნების, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ იღებს მინისტრი. ამასთან, საქმეთა რწმუნებულს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მინისტრი. გარდა ამისა, კანონპროექტი ითვალისწინებს მინისტრის ბრძანებით დებულების შემუშაევების ვალდებულებას, რომელიც დეტალიზებულად მოაწესრიგებს საქმეთა რწმუნებულის უფლებებსა და მოვალეობებს, აგრეთვე საქმეთა რწმუნებულის აპარატის საქმიანობის წესს.

• კანონით განსაზღვრულ დიპლომატიური წარმომადგენლობების ჩამონათვალს საერთაშორისო ორგანიზაციასთან საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობის პარალელურად დაემატა საერთაშორისო ორგანიზაციასთან საქართველოს წარმომადგენლობა. აღნიშნული ცვლილების განხორციელება ეყრდნობა საერთაშორისო პრაქტიკას, რომლის მიხედვით იმ საერთაშორისო ორგანიზაციასთან არსებულ საქართველოს წარმომადგენლობას ვერ ეწოდება მუდმივი წარმომადგენლობა, რომლის წევრ სახელმწიფოსაც არ მიეკუთვნება საქართველო. აღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით გადამუშავდა მთლიანად კანონი.

• კანონის მოქმედი რედაქციისგან განსხვავებით, დიპლომატიური წარმომადგენლობის რეორგანიზაციის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი. აღნიშნული ცვლილება განპირობებულია პრაქტიკაში გამოვლენილი ხარვეზის აღმოფხვრით. კერძოდ, საქართველოს მთავრობის 2005 წლის 16 ნოემბრის 206 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრის დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ჟ" ქვეპუნქტის შესაბამისად, მინისტრის კომპეტენციას განეკუთვნება საზღვარგარეთ სამინისტროს ქვედანაყოფების საშტატო ნუსხების დამტკიცება. აღნიშნულ ნუსხაში ნებისმიერი ხასიათის ცვლილება, თავისი სამართლებრივი ბუნებით ხშირ შემთხვევაში უკავშირდება რეორგანიზაციას, რომელიც ამავდროულად კანონის მოქმედი რედაქციის მიხედვით პრეზიდენტის კომპეტენციას მიეკუთვნება.

• მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანის, საერთაშორისო ორგანიზაციასთან საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობის მოადგილის, საერთაშორისო ორგანიზაციასთან საქართველოს წარმომადგენლობის მოადგილის თანამდებობა უფროსი დიპლომატიური თანამდებობის კატეგორიას მიეკუთვნება. წარმოდგენილი პროექტის თანახმად, აღნიშნული თანამდებობა განისაზღვრა, როგორც უმაღლესი დიპლომატიური თანამდებობა.

• კანონით განსაზღვრული უფროსი დიპლომატიური თანამდებობების ჩამონათვალს დაემატა მინისტრის სამდივნოს უფროსის თანამდებობა,

რომელიც წარმოადგენს სამინისტროს ერთ-ერთი სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელს და შესაბამისად, მიზანშეწონილია მიეკუთვნებოდეს დიპლომატიურ თანამდებობათა ჩამონათვალს. ზემოაღნიშნული თანამდებობები კანონპროექტის თანახმად მიეკუთვნება იმ დიპლომატიური თანამდებობების კატეგორიას, რომლებზეც დანიშვნა ხდება უკონკურსოდ.

• რიგ შემთხვევებში, კანონის მოქმედი რედაქციით დადგენილი კონკურსის გამოცხადების ვადა გარკვეულ ტექნიკურ პრობლემებს უკავშირდება. კერძოდ, კანონის თანახმად, სამინისტროს სისტემაში ერთი ან ორი ვაკანსიის არსებობა წარმოშობს 3 თვის ვადაში კონსკურსის გამოცხადების ვალდებულებას, რაც მოცემულ შემთხვევაში უკავშირდება გაუმართლებელი ფინანსებისა და დროის ხარჯვას. აღნიშნულის გათვალისწინებით, კანონპროექტის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ ვაკანტურ დიპლომატიურ თანამდებობაზე არ დაინიშნა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირი, ვაკანსიის წარმოშობიდან ექვსი თვის ვადაში ცხადდება კონკურსი შესაბამის დიპლომატიურ თანამდებობაზე. ამასთან, კანონპროექტი იძლევა შესაძლებლობას, მითითებული პერიოდის განმავლობაში, კონკურსის წესით შესავსებ თანამდებობაზე დაინიშნოს დროებით მოვალეობის შემსრულებელი.

• კანონპროექტის მნიშვნელოვან სიახლეს განეკუთვნება ასევე საჭიროების შემთხვევაში, მინისტრის გადაწყვეტილებით დიპლომატიურ წარმომადგენლობასა და საკონსულო დაწესებულებაში არსებულ არადიპლომატიურ თანამდებობაზე დიპლომატიური თანამდებობის პირის როტაციის წესით სამუშაო მივლინებით წარგზავნა. აღნიშნული ცვლილება ეფუძნება დიპლომატიური სამსახურის გაელის წესით, სამინისტროს ცენტრალურ აპარატში არსებულ შესაძლებლობას, კერძოდ, დიპლომატიური სამსახურის რეზერვიდან შესაძლებელია პირი დაინიშნოს ადმინისტრაციულ-ტექნიკურ თანამდებობაზე, ამ თანამდებობიდან გათავისუფლების შემთხვევაში – რეზერვში ჩარიცხვის უფლებით. შესაბამისად, წარმოდგენილი ცვლილების თანახმად, საჭიროების არსებობის შემთხვევაში, მინისტრის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია დიპლომატიურ წარმომადგენლობასა და საკონსულო დაწესებულებაში არადიპლომატიურ თანამდებობაზე დიპლომატიური თანამდებობის პირის როტაციის წესით სამუშაო მივლინებით წარგზავნა. ამავდროულად კანონპროექტი ითვალისწინებს ასეთი კატეგორიის პირებისათვის საკონსკურსო–სატესტაციო კომისიის გადაწყვეტილებით რეზერვში ჩარიცხვის გარანტიას.

• კანონის მოქმედი რედაქცია ითვალისწინებს დიპლომატიური თანამდებობის პირის საქართველოს საკანონმდებლო ხელისუფლების

ორგანოში ან სახელმწიფოებრივი საჭიროებიდან გამომდინარე სხვა სახელმწიფო დაწესებულებაში სამუშაოდ მივლინების შემთხვევაში, მისი დიპლომატიურ რეზერვში ჩარიცხვის ვალდებულებას. იმის გათვალისწინებით, რომ დღეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი არჩევით თანამდებობას განეკუთვნება, ზემოაღნიშნულ ჩამონათვალს დაემატა ის პირები, რომლებიც არჩეული იქნება ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოში.

• კანონპროექტის მიხედვით დაზუსტდა უფროს დიპლომატიურ თანამდებობაზე პირველად დანიშნული პირისათვის დიპლომატიური რანგის ვადაზე ადრე მინიჭების შესაძლებლობა, კერძოდ, ზემოაღნიშნულ შემთხვევაში, უფროს დიპლომატიურ თანამდებობის პირს ვადაზე ადრე მიენიჭება „უმცროსი მრჩევლის" დიპლომატიური რანგი.

• კანონპროექტის მიხედვით დაზუსტდა სამსახურიდან გათავისუფლების საფუძვლები. კერძოდ, გათავისუფლების საფუძვლებს დაემატა როტაციის წესით სამუშაო მივლინების ვადის გასვლა, თუ პირი არ დაინიშნა შესაბამის ვაკანტურ თანამდებობაზე.

• პრაქტიკაში ხშირ შემთხვევაში გაურკვევლობას იწვევდა როტაციის წესით სამუშაო მივლინებაში წარგზავნილი პირის ანაზღაურების საკითხი. აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, კანონის 45–ე მუხლს დაემატა ახალი პუნქტი, რომლის შესაბამისად, საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულო დაწესებულებებში როტაციის წესით სამუშაოდ მივლინებულ პირს, მივლინების დღიდან უწყდება შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) და ეძლევა ამ კანონის 44–ე მუხლით გათვალისწინებული გრძელვადიანი სამუშაო მივლინების თანხა.

• მოწესრიგებულია კანონის მოქმედ რედაქციაში არსებული საკანონმდებლო და ტექნიკური ხარვეზები, მათ შორის, ტერმინოლოგიური უზუსტობებიც.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდას.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:
კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებებს.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:
კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:
კანონპროექტის მიღება არ იწვევს ფინანსურ შედეგებს, იმ პირთთვის რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):
კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღების ვალდებულებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:
კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:
კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:
კანონპროექტის შემუშავებაში ამ პუნქტით გათვალისწინებულ ორგანიზაცია/დაწესებ ულებებს და ექსპერტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

კანონპროექტის ავტორია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები: აკაკი მინაშვილი, ირაკლი ქავთარაძე, გიორგი კანდელაკი და კობა ხაბაზი